ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

“დინამო" (ოდესა) - "დინამო" (თბილისი) - 0:0
17 ივნისი. ოდესა. შევჩენკოს სახ. კდც პარკის სტადიონი. 30 000 მაყურებელი.
მსაჯი ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი).

“დინამო" (ლენინგრადი): პინკოვი, ტაბაცკოვსკი, ვოლინი, ხიჟნიკოვი, ტოკარი, ხეისონი, გიჩკინი, მალხასოვი, ორეხოვი, ბორისევიჩი, სოსიცკი.

"დინამო"(თბილისი): დოროხოვი, ნიკოლაიშვილი, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, ფროლოვი, მინაევი, გავაშელი, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (ოდესა)

(ოდესა. დეპეშით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

17 ივნისს, ოდესის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. საფეხბურთო მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის და ოდესის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩს დაესწრო 30.000-ზე მეტი მაყურებელი.

ამ დღეს ოდესის “დინამო” გამოვიდა თავისი ძირითადი საბრძოლო შემადგენლობით. თბილისელებს კი – აკლდათ შავგულიძე და გაგუა. მათ მაგივრად თამაშობდნენ – ნიკოლაიშვილი და მინაევი.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა (ძლიერი ქარი), რომელიც ორივე გუნდს ძალზე უშლიდა ხელს ტექნიკური თამაშის გამომჟღავნებაში, თამაში მაინც სწრაფი ტემპით დაიწყო. თბილისელებმა შესძლეს რამდენიმე მეტად კრიტიკული მომენტის შექმნა. მეკარე პენკოვსკიმ 9 წუთის განმავლობაში 8 ძლიერი და ორი “მკვდარი” ბურთი აიღო. ოდესელები იშვიათად უახლოვდებიან თბილისელთა საჯარიმო მოედანს. მე-18 წუთზე გარღვევაზე გასული პაიჭაძის ძლიერ შუტს სხარტი ნახტომით იგერიებს მეკარე. მე-20 წუთზე ფროლოვმა ახლო მანძილიდან ვერ გამოიყენა შესაძლებლობა. პირველი ტაიმი მთავრდება უშედეგოდ.

მეორე ტაიმში დაშავებული სომოვი შესცვალა გავაშელმა, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილი დაიკავა ჯეჯელავამ. ბრძოლამ კვლავ მწვავე ხასიათი მიიღო. ტაიმის უკანასკნელ წუთებში დოროხოვმა აიღო ძლიერად დარტყმული კუთხური ბურთი. მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

კარგად სჯიდა თამაშს მოსკოველი მსაჯი – კუზნეცოვი.

“მუშა”, 19 ივნისი, 1938 წ.